ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

დათუნა მოდებაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

კობა ბოჭორიშვილი -კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი -კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს "…" იურისტი თ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.02.2012

საჩივრის რეგისტრაციის №020/12

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 06.03.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ა. მიმართ,

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ა. მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 06 თებერვალს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა შპს „…" იურისტმა თ. დ. და მოითხოვა ადვოკატ გ. ა. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გ. ა. თავის ნათესავ პაციენტთან ერთად შპს „…." დადო სამედიცნიო მომსახურების საფასურთან დაკავშირებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, პაციენტმა გ. ა. გადასცა შესაბამისი თანხა. თუმცა მან აღნიშნული თანხა თაღლითურად მიითვისა.

1.4 საჩივრის ავტორი, თხოვნით მომართავს ეთიკის კომისიას, განიხილოს შპს „…" და გ. ა. შორის არსებული დავა.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

2.1 ადვოკატი გ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

2.2 შპს „....“ იურისტმა თ. დ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2012 წლის 06 თებერვალს.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.

3.2 საჩივრის მიხედვით, შპს „...“ და ადვოკატ გ. ა. შორის წარმოიშვა სამართლებრივი დავა სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის თობაზე.

3.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ იგი უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმებისა და ქცევის წესების დარღვევის დროს. შესაბამისად, არ არსებობს ეთიკის კომისიაში შემოსული საჩივრის განხილვის საფუძველი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ და ადვოკატს შორის არ წარმოშობილა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა.

3.4 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია ,,პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები“.

3.5 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით, ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე, ვინაიდან დავა შპს „...“ და გ. ა. შორის არის სამოქალაქო-სამართლებრივი და არ უკავშირდება ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

1. შპს „...“ იურისტის თ. დ. 2012 წლის 06 თებერვლის №020/12 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება და საჩივრის ავტორს უარი ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდეთ მხარეებს.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /დათუნა მოდებაძე/

კოლეგიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/